

# რატომ უნდა ვიკითხოთ წიგნები

თბილისის თავისუფალი აკადემია
ჟურნალი „მომავლის ლიდერი“
სერია N10

რედაქტორი
**მერაბ მიქელაშვილი**
პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

სარედაქციო საბჭო:
**სალომე პირველი**
პროფესორი, სამართლის აკადემიური დოქტორი
**მარინე კობალავა**
პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
**მაია ვასაძე**
ასოცირებული პროფესორი

პროექტი ხორციელდება თბილისის თავისუფალი აკადემიის „ახალგაზრდა ლიდერთა სკოლის“ მიერ

ISSN 2667-923X

© რატომ უნდა ვიკითხოთ წიგნები, თბილისის თავისუფალი აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2021

საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა ასწავლოს არა მხოლოდ ის, თუ მოსწავლემ/სტუდენტმა რა უნდა წაიკითხოს, არამედ ისიც, თუ როგორ უნდა წაიკითხოს. განსაკუთრებით დღეს, როცა XXI საუკუნე გვთავაზობს წიგნის ისეთ მომხიბლავ ალტერნატივებს, რომ კითხვა შეიძლება სამეჯლისო ცეკვებისა და ცხენზე ჯირითის მსგავსად არისტოკრატიულ ჰობად იქცეს.

გახსოვთ, ბოლოს როდის წაიკითხეთ წიგნი ან სტატია ჟურნალში?
რატომ არის აუცილებელი კითხვა?
რა მოხდება და რას შეიძენთ თუ კითხვას ყოველდღიურ ჩვევად აქცევთ?
ქვევით გაეცნობით ზემოთ მოტანილ კითხვებზე დასაბუთებულ პასუხებს!

დასაწყისისთვის კითხვაზე და წიგნებზე საინტერესო მოსაზრებებს გავეცნოთ:



გიყვარდეს კითხვა, ნიშნავს ცხოვრებაში გარდაუვალი მოწყენილობის საათების გაცვლას დიდი სიამოვნების საათებზე
შარლ ლუი დე მონტესკიე



ოდესმე გიპოვნიათ წიგნში თქვენი საკუთარი აზრი, რომელიც მანამდე არ იყო გააზრებული თქვენს მიერ და ბუნდოვანი სურათი, ახლა, თითქოსდა, შორიდან გიზიდავთ და საოცრად სრულად გამოხატავს თქვენს დახვეწილ შეგრძნებებს?
გუსტავ ფლობერი



ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობიდან ყველაზე საოცარი და ყურადღების ღირსია წიგნები. წიგნებში ცხოვრობენ წარსულის დროინდელი ფიქრები; მკაფიოდ და ცხადად ისმის ხალხის ხმა, რომელთა ფერფლიც დიდი ხანია გაფანტული, როგორც სიზმარი. ყველაფერი, რაც კაცობრიობამ გააკეთა, გადაიაფასა, ყველაფერი, რასაც მიაღწია - ეს ყველაფერი, როგორც მაგია, შემონახულია წიგნების ფურცლებზე
თომას კარლეილი

# კითხვა აუმჯობესებს წარმოსახვის უნარს და შემოქმედებით შესაძლებლობებს .



როცა ვკითხულობთ, ახალ სიცოცხლეს ვანიჭებთ სიტყვებს - ისინი სხვანაირად გარდაიქმნებიან ჩვენს წარმოსახვაში. ჩვენ თავიდან ვიაზრებთ და შევიგრძნობთ დამატყვევებელი ისტორიების ხმებს, სუნსა და სახეებს ეს სამუშაო ავითარებს ჩვენი ტვინის შემოქმედებით უნარს და ძნელია მოძებნო სხვა ეფექტური სავარჯიშო ამ უნარის გასავითარებლად

# ინტელექტისგაუმჯობესება



მიუხედავად თანამედროვე ტექნოლოგიების არნახული მიღწევებისა, კითხვა მაინც რჩება სწავლისა და ინფორმაციის შენახვის საუკეთესო საშუალებად. ის, ვინც ბევრს კითხულობს, უფრო ჭკვიანი ხდება და თავის გონებას ავსებს იმ ინფორმაციით/ცოდნით,რომელიც სხვასვერ ექნება წიგნებისკითხვისგარეშე.

# კითხვას შეუძლია შეცვალოს თქვენი ცხოვრება.



მიუხედავადთანამედროვეტექნოლოგიების არნახულიმიღწევებისა,კითხვამაინც რჩება სწავლისა და ინფორმაციის შენახვის საუკეთესო საშუალებად. ის, ვინც ბევრს კითხულობს, უფრო ჭკვიანი ხდება და თავის გონებას ავსებს იმ ინფორმაციით/ცოდნით, რომელიც სხვას ვერ ექნება წიგნების კითხვისგარეშე.

# თანაგრძნობის უნარი

ძნელია საკუთარი თავის წარმოდგენა სხვის ადგილზე, განსაკუთრებით მაშინ, თუ მისი სამყარო მკვეთრად განსხვავდება თქვენი სამყაროსაგან. კითხვა - სხვა ადამიანის „თავში ჩახედვის“, მისი აზრებისა და გრძნობების გაგების ბრწყინვალე საშუალებაა



# საკუთარი თავის სრულყოფა



რაც უფრო მეტს კითხულობთ, მით უფრო ფართოა თქვენი სიტყვებისმარაგი და ამაში განსაკუთრებული არაფერია , რადგან კითხვის დროს წიგნებშიხვდებითუამრავ სიტყვებს და ყოველდღიურ ცხოვრებაში მათ აქტიურ გამოყენებას იწყებთ. კარგი მკითხველები როგორც წესი, თვითონაც კარგად წერენ. კითხვა გვეხმარება იმაში, რომ უფრო მეტად ვირწმუნოთ საკუთარი თავის, ეს კი ფასდაუდებელი კაპიტალიაროგორც სოციალური ურთიერთობისთვის, ასევე კარიერულიწინსვლისთვის

# სიბრძნე



წიგნის გადაშლისყოველ ჯერზე თქვენ გონებას ივსებთახალი ცოდნით, აზრებით, ფაქტებით, სიუჟეტებით. კითხვა ინფორმაციის უწყვეტი მიღების საშუალებაა ამ ინფორმაციის მიღებასთან ერთად მკითხველი გამოცდილებასაც იძენს . წიგნები სხვადასხვა პერსონაჟების ცხოვრებისეულ გაკვეთი-ლებზედა შეძენილ გამოცდილებებზე მოგვითხრობს - ეს კი სამყაროს უკეთ აღთქმის საშუალებაა. წიგნების კითხვის კვალდაკვალთქვენდღითი დღე ბრძენდებით

# აზროვნების უნარის გაუმჯობესება



კითხვა ანვითარებს ანალიტიკურ აზროვნებას. ადამიანები, რომლ ებიც კითხულ ობენ მათთან შედარებით, ვინც არ კითხულობს, კანონზომიერებას უფრო ადვილად ამჩნევენ. კითხვა თქვენს ტვინს უფრო მოქნილსა და მახვილს ხდის, ამასთან ის გეხმარებათ მახსოვრობის გავარჯიშებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თქვენი ტვინი უფრო ძლიერი და ელასტიური ხდება იმის გამო, რომ კითხულობთ

# ყურადღებისა და კონცენტრაციის გაუმჯობესება



უმრავლესობა მიჩვეულია „მრავალ ამოცანიანობას“, როცა საკუთარ ყურადღებას ანაწილებს ტელევიზორს, ინტერნეტს, ტელეფონსა და სხვა მრავალ საგანს შორის. ასე იკარგება საჭირო დროს ერთ მნიშვნელოვან საქმეზე კონცენტრირების უნარი. წიგნის კითხვა აუმჯობესებს კონცენტრაციის უნარს, რადგან თვითონ წიგნი ითხოვს ყურადღების სრულ მობილიზაციას

# მკითხველებს წარმატების უფრო მეტი შანსი აქვთ.




ალბათ შესაძლოა წარმატებული ადამიანებისმოძებნა, რომლებიც წიგნებს არ კითხულობენ მაგრამ რთულია გავიხსენოთ წარმატებული მეცნიერები, ბიზნესმენები, მწერლები, რომელთაც კითხვაარ უყვარდათ და თუმათ საერთო ინტერესიაქვთ, ეს ინტერესიკითხვაა.

# იდეების გენერაცია



იდეა - მძლავრი მამოძრავებელ ია, მას შეუძლიაჩვენი ცხოვრების შეცვლა. როცა კითხულობთ, უამრავ ახალ იდეებს შეიმეცნებთ ეს იდეები თქვენ გონებაში იხარშება და შესაბამისად გეხმარებათ საკუთარი მიმზიდველი იდეის პოვნაში.

# კითხვა გეხმარებათ პრიორიტეტების სწორად დასახვაში.



კითხვა თქვენთვისახალი შესაძლებლობებისკარებს აღებს. წაიკითხავთრა ახალ თავგადასავლებზე, განსხვავებულიცხოვრების წესზე, სხვადასხვასაგნებზე რომლებზეცადრე არ ფიქრობდით, თქვენ დაფიქრდებით ამაზე და შესაძლოამოისურვოთ საკუთარი ცხოვრების შეცვლა ან ახალიცხოვრებისეული მიზნების დასახვა

# თქვენ იცხოვრებთ რამოდენიმე ცხოვრებით



ადამიანებს, რომლებიცარ კითხულობენ,შეუძლიათმხოლოდ ერთი - საკუთარი ცხოვრებით იცხოვრონ. მკითხველებისათვის კი მრავალნაირიცხოვრება - როგორც რეალური, ისე გამოგონილი არის ხელმისაწვდომი. მკითხველებს შეუძლიათ იგრძნონ წიგნის გმირები, განიცადონ ის, რასაც განიცდიან ისინი. საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება ჩვენ უფრო ძლიერს გვხდის და გვაჭკვიანებს. მაგრამ თუ თქვენ მხოლოდ ერთი, საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობთ, მაშინ სხვა ადამიანების გამოცდილებადა ცხოვრებისეულიგაკვეთილებითქვენთვისარახელმისაწვდომია

# ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება



ტვინს, ისე როგორც სხვა ნებისმიერ კუნთს ესაჭიროება ვარჯიში, რათა შეინარჩუნოს ჯანმრთელობადა სიძლიერე. კვლევებიაჩვენებენ, რომ ისეთი გონებრივი შრომა, როგორიცაა კითხვა, ანელებსჭკუასუსტობას და ალცაიმერის დაავადებას. ადამიანები, რომლებიც ბევრს კითხულობენ, უფრო გვიან განიცდიან მახსოვრობის ასაკობრივ გაუარესებას

# სახლიდან გაუსვლელად მოგზაურობა სამყაროს გარშემო.



მოგზაურობა სხვა ერებისა და კულტურის გაცნობის საუკეთესო საშუალებაა. კითხვა ამ მიმართებით მეორე საუკეთესო საშუალებაა. მას შეუძლია თქვენს წინ გადაშალოს მთელი სამყარო, საკუთარი სახლის ზღურბლის გადაბიჯების გარეშე, რადგან წიგნის საშუალებით შეგიძლიათ გაეცნოთ სხვადასხვა ქვეყნებისადა ერების ცხოვრებას

# ფიზიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება.

ჩვენ, როგორც წესი, ვკითხულობთწყნარ გარემოში და საკუთარ თავთანმარტო ვატარებთდროს. საინტერესო წიგნის კითხვის პროცესი მედიტაციასთან ახლოს მყოფი მდგომარეობაა. კითხვა იძლევა მოდუნებისა და დაწყნარების საშუალებას. შედეგად მცირდება სტრესი. კითხვით დაკავებულიადამიანი ნაკლებად უჩივის ცუდ განწყობაზედა ხასიათზეყოფნას



# სასაუბრო თემების მრავალფეროვნება.



კითხვისას რაც უფრო მეტსიგებთახალ თემებზედა ისტორიებზე
უფრო გიადვილდებათსაუბრის დაწყება - თქვენხომ სამსჯელოდ
ახალი სასაუბროთემებისულევიწყარო გაქვთ

რაც უფრო მეტს კითხულობთ, მით უფრო მეტი სიტყვების მნიშვნელობაიცით და ეს სიტყვები აუცილებლადაავსებს თქვენს ყოველდღიურსამეტყველო სიტყვების მარაგს . ზუსტი და სწორი მეტყველებაგეხმარებათ ნებისმიერ პროფესიაში და კარიერაში, რადგან ის ვინც ბევრს კითხულობსკარგად საუბრობს და ერკვევა სხვადასხვათემებში, როგორც წესი უფრო მეტად სარგებლობს „სოციალური ლიფტით“.

# საკუთარი თავის კვლევა




გსმენიათგამოთქმა „წიგნებში დაკარგული“? კითხვა აქტიური პროცესია და თქვენ მასში ისე ხართ ჩართული, თითქოს მონაწილეობთ წიგნის სიუჟეტში. კითხვის საშუალებით შეგიძლიათ ბევრი რამის გაგება საკუთარ თავზე მაგალითად, თქვენ შეგიძლიათჰკითხოთ საკუთარ თავს, რას გააკეთებდით წიგნის გმირის ადგილზე და მიღებულმაპასუხმაშეიძლებაგაგაოცოთ.

# თვალსაწიერის გაფართოება.



თუ არ კითხულობთ, მაშინ თქვენი თვალსაწიერი ვიწროა, თქვენ მხოლოდ მცირედი წარმოდგენა გაქვთ იმაზე, რაც თქვენ გარშემო ხდება. კითხვას შეუძლია დაგანახოთ თქვენ გარშემო მყოფი სამყაროს სიდიადე. არის ბევრი რამ, რომელზეც ჩვენ წარმოდგენა არა გვაქვს. მხოლოდ კითხვის პროცესში რწმუნდება ადამიანი, რა ცოტა იცოდა ადრე.

# თქვენ არ წაკითხვის არცერთი მიზეზი არ გაქვთ.



ყოველწლიურადათასობით წიგნი იბეჭდება. ამას თუ დავამატებთ ციფრულ მატარებლებს ელექტრონულ წიგნებს სოციალურ ქსელებს ბლოგებს, ჟურნალებს შეგიძლიათმარტივად აღმოაჩინოთ თქვენთვის სასურველიწასაკითხიამ მრავალფეროვნებაში

ასეთ სიტუაციაში თქვენ კითხვაზე უარის თქმის არც ერთი მიზეზი არ გაქვთ

ახალგაზრდა ლიდერთა სკოლა

YOUNG LEADERS SCHOOL

## XXI საუკუნის პიროვნული და სოციალური კომპეტენციების ფორმირების პლატფორმა

www.Freeacademy.edu.ge
info@freeacademy.edu.ge

# თბილისის თავისუფალი აკადემია

სერია "მომავლის ლიდერი"
№1 (11) იანვარი-თებერვალი 2021 წელი



თბილისის თავისუფალი აკადემიის გამომცემლობა
0160, თბილისი, ჯურხა ნადირაძის 46
+995 322 369 160
+995 599 670 108